საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-11/81

ქ. ბათუმი 1 ნოემბერი, 2017 წ.

ბსუ-ს ზოგიერთი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის პერსონალის შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპის - ტესტირების ჩატარების ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24–ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 11 ოქტომბრის N01-11/70 ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 25 ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 11 ოქტომბრის N01-11/70 ბრძანებით გამოცხადებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის პერსონალის შესარჩევი კონკურსის მე-2 ეტაპი - ტესტირება ჩატარდეს **ბსუ-ს საგამოცდო ცენტრში** (ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. N12, მე-3 სართული) შემდეგ ვადებში:

   ა) **ტესტირება საკონკურსო თემატიკაში - 2017 წლის 6 ნოემბერს, 14:00 სთ-ზე;**

   ბ) **ტესტირება უცხო ენაში - 2017 წლის 8 ნოემბერს, 14:00 სთ-ზე.**

2. ტესტირებაზე დაშვებისათვის კონკურსანტთა რეგისტრაცია, მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობების საფუძველზე დაიწყოს ტესტირების დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, მაკრამ არაუგვიანეს 5 წუთით ადრე. დაგვიანებული კონკურსანტები ტესტირებაზე არ დაიშვებიან.

3. ტესტირების ვადების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (მთავარ გვერდზე და კონკურსების ველში - შესაბამსი კონკურსის გამოცხადების აქტთან ერთად).
4. ბსუ-ს საგამოცდო ცენტრს დაევალოს კონკურსანტთა ტესტირების ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა რექტორის მოადგილის, თამარ სირაძესთან სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსთან და იურიდიული დეპარტამენტის უფროსთან კოორდინირებული მუშაობით.
5. წინამდებარე ბრძანების აღსრულებისას ბსუ-ს პერსონალის მიერ უზრუნველყოფილი იქნეს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა გამჟღავნებისაგან (ტესტირების შინაარსზე და პასუხებზე წვდომა).
6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯემალ ანანიძე